



## ეთიკისა და ქცევის კოდექსი

დამტკიცებულია ჯიპა - საქართველოს  
საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის  
რექტორის 2017 წლის 18 ოქტომბრის  
ბრძანებით

**N01-17/136**

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

- 1.1 ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ეთიკისა და მხედვის კოდექსი წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მონვეული ლექტორების (შემდგომში - უნივერსიტეტის პერსონალი) და სტუდენტების ქცევის სავალდებულო ნორმების, დისციპლინური გადაცდომისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებისა და დისციპლინური წარმოების წესების ერთობლიობას.
- 1.2 კოდექსის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის სავალდებულო ქცევის ერთიანი წესების ჩამოყალიბება.

## თავი II. უნივერსიტეტის პერსონალის ეთიკისა და მხედვის წესები

### მუხლი 2. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები

- 2.1 უნივერსიტეტის პერსონალი, თავის პროფესიულ საქმიანობაში, მოქმედებს შემდეგი პრინციპების დაცვით:
- 2.1.1 კომპეტენტურობა, მიუკერძოებლობა, პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება;
  - 2.1.2 მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების მოთხოვნათა დაცვა;
  - 2.1.3 კოლეგებისა და სტუდენტების მიმართ პატივისცემით და თავაზიანად მოპყრობა;
  - 2.1.4 ისეთ საქმიანობაში ჩაბმის დაუშვებლობა, რაც აზიანებს უნივერსიტეტის ინტერესებს ან/და ეწინააღმდეგება მის მიზნებს, ან ხელს უშლის უნივერსიტეტის პერსონალს მათი პროფესიული მოვალეობების შესრულებაში;
  - 2.1.5 სტუდენტთა/პერსონალის მიმართ რაიმე სახის დისკრიმინაციული მოპყრობის დაუშვებლობა, განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.
  - 2.1.6 პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა.

### მუხლი 3. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მონვეული ლექტორების ქცევის წესები და ვალდებულებები:

- 3.1 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მონვეული ლექტორები:
- 3.1.1 პროფესიული ვალდებულების შესრულებისას, არიან დამოუკიდებლები, კეთილსინდისიერები და მიუკერძოებლები;

- 3.1.2 ხელს უწყობენ სტუდენტებში დემოკრატიული, სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის ღირებულებების ჩამოყალიბებას;
- 3.1.3 იცავენ სტუდენტებთან და კოლეგებთან დაკავშირებული ან/და მათგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 3.1.4 მეტყველებენ ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და გასაგები ენით;
- 3.1.5 ეფექტიანად/რაციონალურად იყენებენ პროფესიული საქმიანობისთვის განკუთვნილ დროს, სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად;
- 3.1.6 უფროსი დეზინფორმაციის უნივერსიტეტის ქონებას და მიზნობრივად იყენებენ უნივერსიტეტის რესურსებს;
- 3.1.7 არ იყენებენ პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის;
- 3.1.8 ზრუნავენ საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე;
- 3.1.9 სასწავლო პროცესს წარმართავენ უნივერსიტეტის სასწავლო გეგმებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად;
- 3.1.10 საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფენ სასწავლო კურსის წარმართვის მეთოდოლოგიის პერიოდულ განახლებას და დახვეწას;
- 3.1.11 თანაბარი პატივისცემით ეპყრობიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს და უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული უნარების თუ პიროვნული თვისებებისა.
- 3.1.12 პატივს სცემენ სტუდენტებსა და მათ აზრებს, უქმნიან მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად.
- 3.1.13 უზრუნველყოფენ თანაბარ მოპყრობას ყველა სტუდენტის მიმართ, განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და ზრუნავენ, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.
- 3.1.14 იცავენ პუნქტუალობას და არ აცდენენ ლექციას არასაპატიო მიზეზით, ხოლო საპატიო მიზეზით გაცდენის/დაგვიანების შემთხვევაში წინასწარ აცნობებენ პროგრამის კოორდინატორს/ხელმძღვანელს;
- 3.1.15 სამართლიანად და მიუკერძოებლად აფასებენ სტუდენტებს და აწვდიან მათ სრულყოფილ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ;
- 3.1.16 არ ახორციელებენ რაიმე სახის ისეთ ქმედებას რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ან უნივერსიტეტის პერსონალში კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობას ან/და გამწვავებას;
- 3.1.17 არ იყენებენ სტუდენტის ან უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის.

- 3.1.18 უზიარებენ შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს და თანამშრომლობენ მათთან.
- 3.1.19 თანამშრომლობენ უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებსა და ადმინისტრაციასთან და თავისი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში.
- 3.1.20 თავს იკავებენ სოციალური ქსელის ან/და მასობრივი მაუწყებლობის მეშვეობით საჯარო გამოსვლის/განცხადების გაკეთებისგან, რაც შეუფერებელია ლექტორის სტატუსთან და პირდაპირ ან ირიბად ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ან/და სტუდენტების პატივს, ღირსებას ან რეპუტაციას;

#### **მუხლი 4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე პერსონალის ქცევის წესები და ვალდებულებები:**

- 4.1 უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობებისა და გარემოს შექმნას.
- 4.2 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი:
  - 4.2.1 თანაბარი პატივისცემით და თავაზიანად ეპყრობა უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირებს და სტუდენტებს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად მათი პროფესიული უნარების, თუ პიროვნული თავისებურებებისა და განუხრელად იცავს უნივერსიტეტის რეგულაციებს.
  - 4.2.2 არ მონაწილეობენ ისეთ საქმიანობაში, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას;
  - 4.2.3 უფროსი დედიანი უნივერსიტეტის ქონებას და მიზნობრივად იყენებენ უნივერსიტეტის რესურსებს;
  - 4.2.4 ვალდებული არიან არ გაამჟღავნონ მათი პროფესიული საქმიანობისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;

### **თავი III. სტუდენტთა ეთიკისა და ქცევის წესები**

#### **მუხლი 5. სტუდენტთა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები**

- 5.1 სტუდენტი სრულად იზიარებს უნივერსიტეტის წესდების, დებულების, საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების, უნივერსიტეტის მისიისა და წინამდებარე ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ დებულებებს, ღირებულებებსა და პრინციპებს და განუხრელად იცავენ მათ.
- 5.2 სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს უნივერსიტეტის სახელს და გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციასა და ავტორიტეტს;
- 5.3 სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს უნივერსიტეტის პერსონალსა და სხვა სტუდენტებს, ასევე მათ პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.

- 5.4 აკრძალულია სტუდენტის მიერ სხვა პირის დისკრიმინაცია ან მისადმი არათოლერანტული დამოკიდებულება განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა;
- 5.5 სტუდენტის ძირითადი ვალდებულებებია:
- 5.5.1 პატივისცემით და თავაზიანად მოეპყრას უნივერსიტეტის პერსონალსა და სხვა სტუდენტებს და პატივი სცეს მათ უფლებებს;
  - 5.5.2 სასწავლო პროცესში, მათ შორის აკადემიური სამუშაოს განხორციელებისას იმოქმედოს კეთილსინდისიერად;
  - 5.5.3 თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რაც ხელს შეუშლის უნივერსიტეტის პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, მათ შორის სტუდენტების ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის რესურსებზე (ბიბლიოთეკებზე და სხვ.);
  - 5.5.4 თავი შეიკავოს ისეთი ქმედებების განხორციელებისგან, რაც პირდაპირ ან ირიბად გამოიწვევს, ან წახალისებს დისკრიმინაციულ მიდგომას უნივერსიტეტის პერსონალისა და სხვა სტუდენტების მიმართ.
  - 5.5.5 დაესწროს პროგრამის კურიკულუმითა და სილაბუსებით განსაზღვრულ შეხვედრებსა და სხვა სახის ღონისძიებებს (მონვეული სტუმარი და სხვა).

## **მუხლი 6. სტუდენტის არასათანადო ქცევა და ეთიკის ნორმების დარღვევა**

- 6.1 სტუდენტის არასათანადო ქცევად და საერთო ეთიკის ნორმების დარღვევად მიიჩნევა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (თუ ქმედება განხორციელებულია უნივერსიტეტის ან სტუდენტების მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ან სხვა ღონისძიებაზე) განხორციელებული შემდეგი ქმედებები:
- 6.1.1 სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;
  - 6.1.2 თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწევა შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
  - 6.1.3 ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული უნივერსიტეტის მიერ;
  - 6.1.4 ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;
  - 6.1.5 „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება ან/და სხვისთვის გადაცემა;
  - 6.1.6 ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

- 6.1.7 უნივერსიტეტის ქონების დაზიანება;
- 6.1.8 უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;
- 6.1.9 სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის;
- 6.1.10 სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, ან დაშინება;
- 6.1.11 სხვა პირის დისკრიმინაცია, კერძოდ უნივერსიტეტის პერსონალის ან/და სტუდენტებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის ხელშეშლა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შებლუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიხედვით.
- 6.1.12 სხვა სტუდენტის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; ასევე, სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით მართლსაწინააღმდეგო შეზღუდვა.
- 6.1.13 მცდარი მონაცემების შემცველი ინფორმაციის გავრცელება უნივერსიტეტის საქმიანობის ან/და სტუდენტის ან/და უნივერსიტეტში დასაქმებული სხვა პირების თაობაზე.
- 6.2 სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩათვლება აკადემიური სიყალბე, კერძოდ:
  - 6.2.1 პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე);
  - 6.2.2 გადაწერა-კარნახი;
  - 6.2.3 ფალსიფიკაცია ან/და სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარს წარმოჩენა;
  - 6.2.4 ლეექციისა და გამოცდის მსვლელობისას მობილური ტელეფონით, სხვა სახის ტექნიკური საშუალებებითა და ნებისმიერი სახის დამხმარე მასალით სარგებლობა, თუ ეს არ არის ნებადართული ლექტორის მიერ. ლექციის/გამოცდის მსვლელობის დროს ამგვარი საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ტოვებს ლექციას/გამოცდას.
  - 6.2.5 კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება ან/და გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება;
  - 6.2.6 შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;
  - 6.2.7 აკადემიური ეთიკის ნორმების დაუცველობა;
  - 6.2.8 სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან თხოვნა სხვა პირისათვის, რომ მის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა;
  - 6.2.9 სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან შეცვლა;
  - 6.2.10 თავისი საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება;
  - 6.2.11 ხელის შეშლა სხვა სტუდენტისათვის სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

- 6.2.12 სხვა სტუდენტისათვის ხელის შეწყობა აკადემიურ სიყალბეში;
- 6.2.13 კვლევითი სამუშაოების ფაქტობრივი ინფორმაციის გამოყენება ან გაყალბება;
- 6.2.14 შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა არამართლზომიერი ქმედებით;

#### **თავი IV. დისციპლინური წარმოება**

##### **მუხლი 7. დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძვლები**

- 7.1 დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური სახდელი.
- 7.2 დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველია:
  - 7.2.1 ამ კოდექსით განსაზღვრული ეთიკის ნორმების დარღვევა.
  - 7.2.2 მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;
  - 7.2.3 უნივერსიტეტის წესდებით, დებულებით, შინაგანანწესით და სხვა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა/დარღვევა;
  - 7.2.4 ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც შესაძლოა პირდაპირ არ წარმოადგენს 7.2.1 – 7.2.3 ქვეპუნქტებში წარმოდგენილ დარღვევას, მაგრამ ზიანს აყენებს უნივერსიტეტის პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას ან/და წარმოადგენს სტუდენტისთვის ან უნივერსიტეტის პერსონალისთვის შეუფერებელ საქციელს.

##### **მუხლი 8. დისციპლინური სახდელის სახეები**

- 8.1. უნივერსიტეტის აკადემიური/მონვეული პერსონალის წარმომადგენლებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:
  - 8.1.1. შენიშვნა;
  - 8.1.2. საყვედური;
  - 8.1.3. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებიდან 20%-მდე დაკავება;
  - 8.1.4. ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და სამსახურიდან დათხოვნა.
- 8.2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:
  - 8.2.1 შენიშვნა;
  - 8.2.2 საყვედური;
  - 8.2.3 ხელფასის დაქვითვა ან დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა;
  - 8.2.4 სამსახურიდან დათხოვნა.
- 8.3. სტუდენტებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

- 8.3.1. შენიშვნა;
- 8.3.2. საყვედური;
- 8.3.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

## მუხლი 9. დისციპლინური კომისია და მისი უფლებამოსილებანი

- 9.1 დისციპლინური ღონისძიებების გატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება დისციპლინური კომისია, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი და მასში შესაძლოა შედიოდნენ:
  - 9.1.1 უნივერსიტეტის რექტორი;
  - 9.1.2 ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
  - 9.1.3 სკოლის დეკანი;
  - 9.1.4 აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები;
  - 9.1.5 სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები;
  - 9.1.6 სტუდენტები;
  - 9.1.7 საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლები ან მონვეული ექსპერტები.
- 9.2 საკითხის განსახილველად კომისია იკრიბება ერთჯერადად;
- 9.3 დისციპლინური კომისიის სხდომაზე სტუდენტს/პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება.
- 9.4 გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით და ფორმდება კომისიის ოქმით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს.
- 9.5 დაუშვებელია პერსონალისთვის ან სტუდენტისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემდეგ გავიდა ერთ წელზე მეტი.
- 9.6 დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეფარდებული უნდა იყოს 30 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ცნობილი გახდა ჩადენილი გადაცდომის შესახებ.
- 9.7 დაუშვებელია ერთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის ორი ან ორზე მეტი დისციპლინური სახდელის დაკისრება.
- 9.8 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების (დანაშაული) ჩადენისას, უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს;
- 9.9 დისციპლინური კომისია ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს ამ კოდექსით გათვალისწინებული ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეიმუშავებს რეკომენდაციას სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით, რომელიც წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.
- 9.10 უნივერსიტეტის რექტორი მასთან არსებულ სათათბირო ორგანოსთან — რექტორატთან ერთად იხილავს წარდგენილ რეკომენდაციას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

## მუხლი 10. დისციპლინური წარმოების დაწყება



- 10.1 დისციპლინური წარმოების დანყება შესაძლებელია უნივერსიტეტის პერსონალის ან სტუდენტის განცხადებების/საჩივრის/შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ პერსონალის წარმომადგენლის ან სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები ან/და ეთიკის სხვა ნორმები, ასევე რექტორის გადაწყვეტილებით სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის/განცხადების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის, საფუძველზე, რომელიც შეიცავს პერსონალის წარმომადგენლის ან სტუდენტის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის შესაძლო ნიშნებს;
- 10.2 რექტორი ან საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული/პირი, შეისწავლის საჩივარს და გადაწყვეტს მისი დასაშვებობის საკითხს. თუკი საჩივარი არ შეიცავს დისციპლინური/ეთიკის ნორმების დარღვევის ნიშნებს, შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, შემოტანილია პირის მიმართ, რომელიც ამჟამად არ არის პერსონალის წარმომადგენელი ან სტუდენტი, ან საჩივარი დაუშვებელია სხვა მიზეზების გამო, საჩივარი არ იქნება მიღებული წარმოებაში;
- 10.3 საჩივრის ან განცხადების მიღებიდან ერთი (1) თვის განმავლობაში, დისციპლინურმა კომისიამ უნდა გამოიკვლიოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება, არსებობს თუ არა დისციპლინური დევნის აღძვრის საკმარისი საფუძველი და გამოიტანოს გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის/სახდელის დაკისრების, ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ;
- 10.4 პლაგიატის ჩადენის ფაქტზე შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭოს/უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მომართვის საფუძველზე, დისციპლინური კომისია განიხილავს და იღებს სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას პლაგიატის ჩამდენი პირისთვის შესაბამისი დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე საკითხის დამატებითი შესწავლის გარეშე;
- 10.5 სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დანყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა უნივერსიტეტის რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
- 10.6 სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონმდებლობის, უნივერსიტეტის რეგულაციების გათვალისწინებითა და სამართლიანი პროცედურის გზით.

## მუხლი 11. განცხადების/საჩივრის განხილვის წესები

- 11.1 დისციპლინური კომისია განცხადება/საჩივარს იხილავს სამართლიანად და მიუკერძოებლად, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით;
- 11.2 დისციპლინური ორგანოს სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია და სხდომაზე განხილული საკითხები და გამოთქმული მოსაზრებები

- კონფიდენციალურია; სტუდენტის ან/და უნივერსიტეტის პერსონალის მოთხოვნის საფუძველზე სხდომა შეიძლება იყოს საჯარო;
- 11.3 დისციპლინური კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული თავმჯდომარე, ან მისი რომელიმე წევრი, რომელიც აირჩევა დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით;
- 11.4 საჭიროების შემთხვევაში, სხდომაში მონაწილეობის მისაღებად დისციპლინურმა კომისიამ შესაძლოა მოიწვიოს მონწიეები და სხვა პირები, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები და ინფორმაცია და საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით განახორციელოს სხვა ქმედებები;
- 11.5 პირის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებას დისციპლინური ორგანო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. შესაბამის ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. თუ სხდომაზე იხილება დისციპლინური კომისიის რომელიმე წევრის დისციპლინური გადაცდომის საკითხი, აღნიშნული წევრი არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში.
- 11.6 დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს/პერსონალს უფლება აქვს:
- 11.6.1 წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
  - 11.6.2 დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
  - 11.6.3 მიაწოდოს დისციპლინურ კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
  - 11.6.4 მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
  - 11.6.5 მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.
- 11.7 დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს.
- 11.8 სტუდენტს/პერსონალს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

## მუხლი 12. გადაწყვეტილების სახეები

- 12.1 დისციპლინურმა კომისიამ შესაბამისი საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგად იღებს შემდეგი სახის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას:

- 12.1.1 დისციპლინური ღვეზის შეწყვეტის შესახებ, თუ პირს არ დაუმტკიცდა დისციპლინური დარღვევის ჩადენა, სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა, თუ პირს შრომითი ხელშეკრულება უნივერსიტეტთან ან სტუდენტის სტატუსი შეუწყდა საქმის განხილვამდე ან გადანწყვეტილების გამოტანამდე, თუ დისციპლინური ორგანოს მიერ გადანწყვეტილება მიღებულია წინამდებარე კოდექსის ნორმების არსებითი დარღვევის შედეგად;
- 12.1.2 პირისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ თუ მის მიერ დისციპლინური დარღვევა დადასტურდა.
- 12.2 დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ სარეკომენდაციო გადანწყვეტილების მიღებისას დისციპლინური კომისია ვალდებულია გაითვალისწინოს ჩადენილი გადაცდომის შინაარსი, ხარისხი, სიმძიმე, მიყენებული (ან შესაძლო) ზიანი, შედეგები, აგრეთვე ჩადენის გარემოებები, ჩამდენის პიროვნება, დამსახურება და სხვა გარემოებები.

### **მუხლი 13. დისციპლინური სახდელების მოხსნის წესი**

- 13.1 დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა არის ერთი წელი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ადგილი ქონდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას ან უნივერსიტეტის პერსონალის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტას.
- 13.2 თუ დისციპლინური სახდელის მოქმედება უნივერსიტეტის პერსონალს ან სტუდენტს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმოქმედ.
- 13.3 დისციპლინური სახდელი შეიძლება მოხსნილ იქნეს ვადაზე ადრე, სახდელის მოქმედების პირის განსაკუთრებული დამსახურებისათვის.
- 13.4 დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ გადანწყვეტილებას იღებს რექტორი.

## **თავი V. კვლევის ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერება**

### **მუხლი 14. აკადემიური კეთილსინდისიერება**

14.1 უნივერსიტეტი აღიარებს, იცავს და მონიტორინგს უწევს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, რაც თანაბრად ვრცელდება, როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ, მონვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალზე, ისე სტუდენტებზე.

14.2. უნივერსიტეტი საკუთარ კვლევით საქმიანობას წარმართავს კვლევის სტანდარტებისა და პროფილური პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით. უნივერსიტეტის მრავალ პროფილური კვლევითი გამოცდილება ეფუძნება რამდენიმე დოკუმენტს, მათ შორის საერთაშორისო სავაჭრო პალატისა (ICC) და საზოგადოებრივი აზრისა და საბაზრო კვლევის ევროპული კავშირის (ESOMAR) საბაზრო და სოციალური კვლევის პრაქტიკის ერთობლივ კოდექსს და ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის (ASA) ეთიკის კოდექსს.

14.3 უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გავრცელებასა და კვლევის ეთიკური სტანდარტების დაცვის ხარისხის ამაღლებას, სათანადო გაცნობიერებასა და ქცევის წესების დამკვიდრებას შესაბამისი მხარდამჭერი საუნივერსიტეტო რეგულაციების (წინამდებარე კოდექსი - ეთიკისა და ქცევის კოდექსი; ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები - „თავი VII - პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების და მისი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“; სტუდენტთა ინსტრუქცია პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ), Turnitin Feedback Studio-ს ელექტრონული პროგრამის და არსებული Moodle სისტემაში მისი ინტეგრაციის (Turnitin + Moodle და საჭიროების შესაბამისად, სხვა ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით), აკადემიური წერისა და კვლევის სასწავლო კურსებისა და ტრენინგების მეშვეობით.

### **მუხლი 15. კვლევითი საქმიანობის ეთიკა**

15.1 უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობა ხორციელდება აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით, რაც გულისხმობს კვლევის პროცესში ისეთი ღირებულებებით ხელმძღვანელობას, როგორცაა პატიოსნება, სანდოობა, სიზუსტე, სამართლიანობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, ზიანის არ მიყენება და კონფიდენციალობის დაცვა, რაც უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით.

15.2 უნივერსიტეტის აკადემიური, მონვეული და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო კვლევა უნდა ტარდებოდეს კვლევის ეთიკის სტანდარტების სრული დაცვით, რაც გულისხმობს:

15.2.1 სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების გამოქვეყნების პროცესის წარმართვას კეთილსინდისიერად, ხარისხისა და გამჭვირვალების პრინციპის სრული დაცვით;

15.2.2 კვლევის პროცესში მონაწილე პირების სრულ ინფორმირებულობას კვლევის მიზნების, მეთოდებისა და კვლევის შედეგების შესაძლო გამოყენების შესახებ, ასევე შესაძლო რისკების თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

15.2.3 კვლევის პროცესში კვლევის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის, რესპოდენტების ანონიმურობის, კვლევის შედეგების ამსახველი, იქნება ეს ტექსტური, აუდიო თუ ვიდეო-ჩანაწერი, დოკუმენტაციის შენახვისა და დაარქივების სტანდარტების დაცვას. დაუშვებელია გავრცელდეს ისეთი მონაცემები/ინფორმაცია, რამაც შეიძლება დაარღვიოს წყაროს კონფიდენციალურობა;

15.2.4 კვლევაში მონაწილე პირები ნებაყოფლობით უნდა იღებდნენ მონაწილეობას კვლევაში, რაც ფორმდება შესაბამის თანხმობის წერილზე ხელმოწერით. 18 წლამდე ასაკის პირის კვლევაში მონაწილეობა ხორციელდება მათ მშობლის/ებისა და/ან მათი ინტერესების დამცველი პირის თანამონაწილეობის საფუძველზე. ექსპერიმენტული კვლევის განხორციელების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს მასში მონაწილეთა კანონიერი უფლებები, ღირსება და ავტონომია.

15.2.5 კვლევის პროცესი წარმართული უნდა იყოს ყოველგვარი ძალდატანებისა და კვლევის მონაწილეზე ზიანის მიყენების გარეშე. სავალდებულოა კვლევის მონაწილეთა და მომხმარებელთა კულტურული, ინდივიდუალური და როლური განსხვავებების პატივისცემა, მათ შორის ისეთი განსხვავებების, რომლებიც დაფუძნებულია ასაკზე, სქესზე, გენდერულ იდენტობაზე, სექსუალურ ორიენტაციაზე, ეროვნებაზე, ეთნიკურობაზე, რელიგიაზე, ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებზე, სასაუბრო ენაზე ან სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. დისკრიმინაციის ნებისმიერი სახის გამოვლინებაზე, რომელიც შესაძლოა ეყრდნობოდეს ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს, რეაგირება ხორციელდება უნივერსიტეტის წინამდებარე კოდექსის რეგულაციების შესაბამისად;

15.2.6 სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების გამოქვეყნების პროცესში გამორიცხული უნდა იყოს ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი, მიკერძოებულობა და მონაცემების ფალსიფიკაცია/მანიპულაციის მცდელობები. კვლევის წარმოების პროცესში დაცული უნდა იყოს ყველა იმ მონაცემის სიზუსტე, რომელიც იკრიბება, ანალიზდება და ქვეყნდება კვლევის საფუძველზე;

15.2.7 სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების გამოქვეყნების პროცესი წარიმართება დამოუკიდებლობად, უნივერსიტეტის მხრიდან ავტონომიურობის სრული დაცვით. უნივერსიტეტი არ იღებს პასუხისმგებლობას კვლევის საფუძველზე გამოქვეყნებულ ანგარიშებში, პუბლიკაციებსა და სხვა ტიპის პროდუქციაში გამოთქმულ მოსაზრებებზე, რომელიც არ ასახავს უნივერსიტეტის პოზიციას;

15.2.8 კვლევის შედეგების გამოქვეყნების პროცესში დაცული უნდა იყოს იმ პირთა საავტორო უფლებები, ვინც სათანადო წვლილი შეიტანა კვლევის პროცესში. საავტორო უფლებების მინიჭება ხორციელდება კვლევაში შეტანილი წვლილის შესაბამისად. საკუთრების უფლება კვლევაზე ან მის შედეგებზე კვლევის განხორციელების დაწყებამდე წინასწარ განისაზღვრება ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან (მაგალითად: ავტორი ან თანაავტორი, უნივერსიტეტი, დონორი, ბენეფიციარი) დადებულ შესაბამის ხელშეკრულებაში;

15.2.9 ინფორმაციისა და მონაცემების ყველა წყარო, რომელიც გამოიყენება კვლევისთვის, უნდა იყოს მკაფიოდ ციტირებული. კვლევაში გამოყენებული წყაროები უნდა იყოს მითითებული, საერთაშორისოდ აღიარებული ციტირების წესის შესაბამისად, როგორც თავად ტექსტში, ისე ტექსტს მიღმა ციტირებების დონეზე, მათ შორის განმეორებით პირველადი წყაროს მითითების შემთხვევაში (თვითპლაგიატის თავიდან აცილების მიზნით).

15.3 უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ყველა ტიპის ნარჩენის, მათ შორის ლაბორატორიულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამის განთავსებას და იცავს, რომ კვლევითმა საქმიანობამ არ გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება/დეგრადაცია;

15.4 უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება აფილირება მოახდინოს უნივერსიტეტთან ნებისმიერი მისი კვლევითი აქტივობის (სტატიის გამოქვეყნების, მოხსენებით გამოსვლის, საჯარო დისკუსიისა თუ სხვა ტიპის აქტივობების) პირობებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის მომზადება გამომდინარეობს აფილირებული პირის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნაკისრი სასწავლო-სამეცნიერო ვალდებულებებისგან;

15.5 უნივერსიტეტი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს კვლევითი საქმიანობის ეთიკურობასა და კეთილსინდისიერების დაცვას და აკადემიური, მონვეული, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტის ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე დროული რეაგირება მოახდინოს წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციების საფუძველზე.